საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 15271/1
25/09/2020

15271-1-2-202009251710

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2020 წლის 04 სექტემბრის N12507/1 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქალაქ გორში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (შემდგომში-კომპანია) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:66.43.10.098) განთავსებული წყალმომარაგების „ვარიანის" სათავე ნაგებობის ეროზიისგან დაცვის მიზნით, გაბიონის ტიპის ნაგებობის მოწყობისთვის, ნაპირდაცვის სამშაოებთან დაკავშირებით მომზადეულ სკინინგის ანგარიშს, დამატებით წარმოგიდგენთ დაზუსტებულ ინფორმაციას აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით:

1) წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნული სიტყვა "დეზები" წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და გაცნობებთ, რომ გრაფიკულ ნაწილში არ არის გათვალისწინებული დეზების მოწყობა. დამცავი ნაგებობა განლაგებულია ნაპირის გასწვრივ დამცავი კედლის სახით.
2) წარმოდგენილ გრაფიკულ ნაწილში გაიზარდა დამცავი ნაგებობის ლეიბის სამუშაო სიგანე კალაპოტის სიღრმითი წარეცხვის შესაბამისად, რაც ასევე აისახა მოცულობების უწყისში.
3) ასევე, დამატებით გაცნობებთ, რომ ადგილზე არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა და მშენებლობის წარმოების პროცესში არ წარმოიქმნება სასოფლო-სამეურნეო და სახიფათო ნარჩენები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

***დანართი:*** 1) გაბიონის ნახაზები.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

ხელმძღვანელობა